F567 ✓ 3156

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

# საბჭოჯლის ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-9 წელი

№ 11 (129)

აგვისტო, 1965 წელი



საქართველოს ხალხური თვითმოქმედება

# ამბები დედა — საქართველოდან

## ნყურვილს მოიკლავს... მიწა

პანკისის ხეობის საუკუნეობრივი სიჩუმე დაარღვია ექსკავატორების, ბულდოზერების, სკრეპერების გუგუნმა. აქ, ალაზნის ზემო დინებაში, დაიწყო სამუშაოები ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის ასაგებად. შენდება საცხოვრებელი სახლები იმათთვის, ვინც იმუშავებს წყალსაღებ ნაგებობათა მშენებლობაზე, მაგისტრალური არხის გაყვანაზე. მთის კალთებს სერავენ გზები, რომლებითაც ავტომანქანები საშენ მასალებს გადაზიდავენ. სოფელ დუისის მახლობლად შენდება ბეტონის ქარხანა. მეორე მხარეს — თელავის მახლობლად, სადაც სარწყავი სისტემის მშენებლობის ცენტრია, შენდება ირიგატორების დაბა. დაიწყო საკარიერო მეურნეობის დამუშავება კისისხევში და მდინარე ოლტის რაიონში.

სამშენებლო მოედნებზე სხვადასხვა პროფესიის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების დიდი კოლექტივი შრომობს. რაც დრო გადის, მით უფრო გაიზრდება სამუშაოთა მოცულობა.

ზემო ალაზნის სარწყავი სისტემა საქართველოში ყველაზე დიდი საირიგაციო ნაგებობა იქნება. მშენებლობა ხორციელდება ორ რიგად. პირველი გათვალისწინებულია შიდა კახეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწების მოსარწყავად, მეორე — გარე კახეთისა. სულ არხი მაცოცხლებელ წყალს მიაწვდის 108 ათას ჰექტარ ყანებს, ბაღებს, ზვრებს, ბოსტნებს.

მაგისტრალური არხი მთაგორიან ადგილას გაივლის. იგი გადასერავს მთების კალთებს, ხეობებს. გზადაგზა აშენდება რთული საინჟინრო ნაგებობანი, დიუკერები, გვირაბები, გალერიები, აკვედუკები... მაგისტრალური არხიდან სხვადასხვა მხარისაკენ დაიქსელება ლურჯი არტერიები. ზოგიერთ ადგილას წყალი მიწისზედა პარაბოლურ რკინაბეტონის ღარებში და მიწისქვეშ გაყვანილ მილებში გაივლის. არხის ღია ტრასის გასწვრივ ამუშავდება ასობით დასაწვიმებელი დანადგარი, რომლებიც მორწყავენ მთების ციცაბო კალთებზე მდებარე მიწებს, სადაც არხით წყლის მიწოდება შეუძლებელია.

სამუშაოთა მასშტაბზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ თუნდაც იმით, რომ ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის პირველი რიგის მშენებლობის დროს ამოსაღებია 25 მილიონზე მეტი კუბური მეტრი გრუნტი, ჩასასხმელია 615 ათასი კუბური მეტრი ბეტონი და რკინაბეტონი და ჩასაწყობია 2.700 კილომეტრზე მეტი სხვადასხვა დიამეტრის მილები.

ახალი სარწყავი სისტემის მშენებლობისა და ექსპლოატაციის დროს გამოყენებული იქნება ახალი სრულყოფილი მეთოდები, რომლებიც ქართველმა მეცნიერებმა და სპეციალისტებმა შეიმუშავეს. მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს და გააიაფებს ექსპლოატაციას ცენტრალიზებული ტელემექანიკური სადისპეტჩერო მართვა და რწყვის ყველა კვანძისა და ობიექტის ავტომატიზაცია.

ზემო ალაზნის სისტემა სახეს უცვლის უზარმაზარ მიწის სავარგულებს, რამდენიმე ასეულ სოფელს. მაგისტრალური არხის 78-კილომეტრიანი ტრასის გასწვრივ გაიყვანენ მოგუდრონებულ გზებს, მთის სოფლები მიიღებენ ჩინებულ სასმელ წყალს. არსებული ყანების, პლანტაციების, ბაღების, ბოსტნების მორწყვის გარდა ეს არხი საშუალებას მოგვცემს სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის ავითვისოთ ახალი მიწების დიდი ფართობები. სარწყავი სისტემის პირველი რიგის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ზვრებისა და ხილის ბაღებისათვის ათვისებენ 20 ათასამდე ჰექტარ მიწებს, რომლებიც ახლა გამოუყენებელია. რწყვა 30-40 პროცენტით გაადიდებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთლიან გამოსავლიანობას. მნიშვნელოვნად გაიზრდება ისეთი ფართობები, რომლებზეც წელიწადში მარცვლისა და მწვანე მასის ორ მოსავალს მოიყვანენ.

## „კოსმოსური“ ხვეულა“

ძაფები გამჭვირვალე ნაკადულებივით მირბიან ზემოდან ქვემოთ, მანქანის სართულიდან სართულზე. დიდი კოჭა ფთილას აწვდის გამოსაჭიმ ხელსაწყოში, აქედან კი გაწვრილებული ნართი ვაზნას ეხვევა.

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მრთველი მზია მრელაშვილი მანქანებს შორის ვიწრო დერეფანში მიაბიჯებს. თვალს არ აშორებს ძაფების მოძრაობას. ძაფი გაწყდა! თითების ოდნავ შესამჩნევი მოძრაობა, და ნაკადი კვლავ არაკრაკდა, ქვემოთ დაეშვა, ვაზნისაკენ...

მზია უკვე შორს არის. წვრილ ძაფს კვლავ ახვევს მისი მოქნილი თითები. ცამეტნახევარი მეტრია მანქანის სიგრძე. ასეთი მანქანა მრთველს სამი აქვს. გამოიანგარიშეს, რომ მთელი დღის განმავლობაში მრთველი თითქმის ექვს კილომეტრს გადის და 80 კილოგრამამდე ნართის დამუშავებას ასწრებს.

დიახ, მანქანების სიჩქარე ახლა, შეიძლება ითქვას, კოსმოსურია! ახსოვს მზიას, როდესაც იგი პირველად მოვიდა კომბინატში, მანქანებს ასეთი სიჩქარე არ ჰქონდა, უფრო ნელა „ბრუნავდნენ“ ახლა კი მანქანის სიჩქარე ათი ათას ბრუნს აღწევს წუთში. აბა სცადე და თვალი ადევნე ძაფს. აქ ბევრი ყოჩაღი, მარჯვე გოგონა მოვიდა: მაგრამ გაწყდებოდა თავისი გააქვს. მრეწალშვილის გვარის გასწვრივ ყოველდღე კვლავინდებურად ჩანს ციფრი 107, 108, 110... ხოლო მზიას ფოტოსურათი თვეობით ჰკიდია საპატიო დაფაზე.

## ინეზეთ, თბილისურია!

ამერკავკასიაში უდიდესი თბილისის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა „კომკავშირელი“ ემზადება თავისი არსებობის 35 წლისთავის აღსანიშნავად. ასაკი, რასაკვირველია, კომკავშირული არ არის, მაგრამ საწარმო ყოველწლიურად ახალგაზრდავდება, სახეს იცვლის, სიმძლავრეს ზრდის.

თუ ფაბრიკაში მოხვდით ცვლის დაწყებისას ან დამთავრებისას, მოწმე გახდებით, როგორ შრომობს საწარმოს საამქროებში უმთავრესად ახალგაზრდობა. ესენი არიან სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულნი. ეს ხელმარჯვე ოსტატები 26-ზე მეტი სახეობის სხვადასხვა ნაწარმს ამზადებენ. ფაბრიკის პროდუქციაზე მომხმარებელთა დიდი მოთხოვნილებაა. ეს მღებავის ნიკოლოზ ალექსიშვილის, საწარმოს ძირითადი უბნების უფროსების ინჟინრების ნუნუ ბრეგვაძის, ეთერ გონგაძის დამსახურებაა.

ფაბრიკის დირექტორი სოციალისტური შრომის გმირი მ. თ. ნიშნიანიძე გვიამბობს:

— „კომკავშირელის“ ნაწარმი შორს ვრცელდება საქართველოს ფარგლებს გარეთ. ნაწარმს ვგზავნით რუსეთის ფედერაციის ქალაქებსა და რაიონებში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ბელორუსიაში, უკრაინაში. წელს გამოვუშვებთ 2.666 ათასი მანეთის პროდუქციას — 350 ათასი მანეთისაზე მეტს, ვიდრე შარშან. ეს არის აბრეშუმის ყაითანი, ტიულის გადასაფარებელი, ფარდები, გადასაფენები, გობელენის სუფრები, აბრეშუმის ძაფი და ბევრი სხვა სახეობის პროდუქცია.

ახლახან ავითვისეთ ახალი სახეობის პროდუქცია — ბუნებრივი აბრეშუმის ქსოვილის თავსაფრები, სუფრები, გრეხილი მულინესაგან დამზადებული საოჯახო ბადეები და სხვ.


ფაბრიკა კვლავ ფართოვდება, აღიჭურვება ახალი ტექნიკით. მის ტერიტორიაზე შენდება სამსართულიანი საწარმოო კორპუსი, რომელშიც იქნება ლენტსაქსოვი საამქრო და სხვა უბნები.

ჩვენს მუშაობას დიდ სტიმულს აძლევს ტრადიციული შეჯიბრება ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მონათესავე საწარმოებთან. კერძოდ, მტკიცე საწარმოო მეგობრობა გვაკავშირებს რიგის საქსოვ-საგალანტერიო ფაბრიკა „ლენტასთან“. უკვე გადმოვიღეთ საქსოვი დაზგების ჩქაროსნული შეკეთების მეთოდი, გავეცანით ფერადი აბრეშუმისა და კაპრონის ლენტების დამზადების ტექნოლოგიას.

## ყველას მოეწონება

ზაფხულის ცხელ დღეს სასიამოვნოა ცხელი ჩაის დალევა. ამისათვის სრულიადაც არ არის საჭირო საჩაიეში შეხვიდეთ. ჩაუშვით მონეტა ავტომატში და სურნელოვანი ცხელი სასმელი მზად გახლავთ.

ცხელი მწვანე ჩაი რომ წუყრილს ჰკლავს, კარგად იციან შუა აზიის მცხოვრებლებმა. ეს მათთვის შექმნეს ასეთი სწრაფად ხსნადი კრისტალური ჩაი ანასეულის ჩაის მრეწველობის სამეცნიერო - საკვლევი ინსტიტუტისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიის ინსტიტუტის სპეციალისტებმა. ასეთი ჩაი მოეწონებათ ჩვენს რესპუბლიკაშიც და საზღვოეთის სხვა რაიონებშიც.



ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურს 27 წლის ისტორია აქვს. ამუშავებიდან დღემდე სადგურის სიმძლავრე თითქმის ხუთჯერ გაიზარდა.

სურათზე: ტყვარჩელის ელექტროსადგურის სამანქანო დარბაზი.

## ემზადებიან

ქობულეთი. 3 ათასი ჰექტარი უჭირავს ციტრუსებს ქობულეთის რაიონში. აქედან ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში იგზავნება ათეულ მილიონობით მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი. ახლა მეციტრუსეები გულმოდგინეთ უვლიან ნარგავებს — უხვი მოსავლისათვის ემზადებიან.

სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობაში ყველაზე უხვმოსავლიანი პლანტაცია აქვს იუსუფ ხინიკაძეს. შარშან მან თვითეულ ხეზე გაცილებით მეტი ნაყოფი მოკრიფა, ვიდრე შეზობელ უბნებზე კრეფენ.

წელსაც არავის დაუთმობს პირველობას მოწინავე მეციტრუსე. მან ვალდებულება იკისრა 2.500 ხეზე მოკრიფოს სულ ცოტა 15 ტონა.

იუსუფ ხინიკაძეს ბევრი მიმდევარი ჰყავს. ისინიც იბრძვიან მანდარინის, ფორთოხლის, ლიმონის უხვი მოსავლისათვის.

# სამშობლოს მიწას ჩავეკონები...

მე ჩემს სიცოცხლეში პოლიტიკური მოღვაწე არ ვყოფილვარ, დიპლომატიისა არაფერი გამეგება, სამხედრო სტრატეგიაშიც ორივე ფეხით მოვიკოჭლებ. ამიტომ აქ არ შევუდგები იმის გამორკვევას, თუ რამ გამოიწვია სამამულო ომის დაწყებისას ჩვენი წარუმატებლობანი, როგორ ჩავვარდი ტყვედ და შეიძლება თუ არა მეწოდოს მე მოღალატე.

ამას წინათ აქ მცხოვრებმა ერთმა ქართველმა მითხრა, სამშობლოში დამარცხებული არ ჩავალ, მირჩევნია აქ მოვკვდე, ვიდრე ვინმემ მასხარად ამიგდოსო. მე მასხარად ვერავინ ამიგდებს, რადგან ჩემს თავს დამარცხებულად არა ვთვლი. სანამ ჩემს ქუდზე წითელი ვარსკვლავი კიაფობდა, მეც ახვედრით ვაყაცურად ვებრძოდი გერმანელ ფაშისტებს.

განა დამავიწყდა 1941 წლის 17 სექტემბერი, როცა არმიის კომისარმა გამომიძახა და ორი დღის წინათ ჩემ მიერ გამოჩენილი მამაკობისათვის მთავრობის ჯილდოზე წარდგენა მომილოცა?! აღარ დამცალდა, ვერ ვეღირსე მკერდზე ლენინის ორდენის გაბრწყინებას, მაგრამ დღესაც ვამაყობ იმით, რომ ჩემ მიერ აფეთქებულ გერმანელთა სამ ტანკს ბევრი ახალგაზრდა თანამემამულის სიცოცხლე შეეძლო შეეწირა და ისინი ჩემმა მარჯვენამ გადაარჩინა... მერე კიევთან ალყაში მოვყევი და უგრძნობლად მყოფი გერმანელების ხელში ჩავვარდი. ამას წარმოუდგენელი შიმშილი, სიცივე და არაადამიანური დამცირება მოჰყვა. ყველაფერი გამოვცადე, ყველაფერი გადავიტანე — ჩემს ბედში მყოფ ადამიანთა მზრუნველობამ და მხარდაჭერამ გადამარჩინა. სამშობლოში დაბრუნებას, ჩემი ახლობლების ნახვას კი მაინც ვერ ვეღირსე.

ომის დამთავრებისთანავე დავბრუნდებოდი თუ ოცი წლის შემდეგ, ვიცი პირადად ჩემს შესახვედრად ქუჩებში დროშებს არავინ გამოფენდა— სამშობლოს დაცვა ყველა ჩვენგანის ვალია და მეც მხოლოდ ჩემი ვალი მოვიხადე.

ჩემი ახლობლები და მეუღლე საქართველოში ახლაც მელიან. ასევე ელიან ჩემსავით უგზოუკვლოდ დაკარგულებს მათი ახლობელნი საყვარელ სამშობლოში. ყველაზე მეტად სწორედ ეს დარდი მკლავს — რომ დემდის უნდა იგლოვონ მათ ჩვენი უმკუობის გამო? როდემდის უნდა ვთქვათ უარი კარს მომდგარ ბედნიერებაზე? განა სამშობლოში სიკვდილი არ სჯობს უცხოეთში თუნდაც განცხრომით ცხოვრებას? ვიდრე მკლავში ძალა გვაქვს, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ იგი ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მისი კიდევ უფრო აყვავებისათვის?

მე შეიძლება რამდენიმე თვეში სახლში დავბრუნდე. ვურჩევ ჩემსავით უბედურ ყოფაში ჩავარდნილი თანამემამულეებს მათაც გაახილონ თვალი, სანამ ძალიან გვიან არ იქნება.

ახლა გიგზავნით ერთ წერილს, სადაც ქართველ ქალზე მაქვს ლაპარაკი. გთხოვთ თქვენს გაზეთში გამოაქვეყნოთ. ვიცი ლიტერატურულად სრულყოფილი არ იქნება, მაგრამ თუ მასალად მაინც გამოგადგებათ და დაბეჭდავთ, ბედნიერი ვიქნები.

მადლობა უფალს, უცხოეთში რამდენი ქართველი ქალიც იმყოფება. ისინი რომ არა, აქ მცხოვრები ბევრი ქართველი და მათ შორის მეც დიდი ხანია სრულიად გადავგვარდებოდით. ქართული სული, ნამდვილი მეგობრობა, სიყვარული და სიტკბოება სწორედ იმ ოჯახებში მეფობს, სადაც ქართველი ქალია.

არგენტინაში სულ ოთხი ქართული ოჯახია. როდესაც მე მათთან ვიმყოფები, წამით მავიწყდება, რომ უცხოეთში ვარ და თავს ბედნიერად ვგრძნობ. ამ ბედნიერებას, ამ სიხარულს ახლა მე ყველაზე დიდ განძად ვთვლი.

ბუენოს-აირესში ცხოვრობს განსვენებული გრიშა ლორთქიფანიძის ოჯახი. ორი შვილი ჰყავთ. ქალს ეთერი ჰქვიან, ვაჟს—ოთარი, ეთერი ავსტრიაში ქართველზე გათხოვდა და შვილიერი გოგონა ეყოლა, რომელსაც დავარი დაარქვა. სამიოდე წლისა იყო ეს გოგონა, როცა ბებიას უკვე თარჯიმნობას უწევდა, რადგან მოხუცი არსოდეს არ ლაპარაკობდა უცხო ენაზე. იმიტომ კი არა, რომ არ შეეძლო, უბრალოდ არა სურდა. ასეთი პრინციპისა იყო. ღმერთმა ამრავლოს მისი მსგავსნი.

დავარი რომ წამოიზარდა, ერთ აქაურ ახალგაზრდაზე გათხოვდა და მასაც მშვენიერი გოგონა ეყოლა. გასულ წელს მათს ოჯახში შევიარე, კარი სწორედ იმ პატარამ გამიღო. ესპანურად შეეკითხე ბებია სახლში თუ ბრძანდება — მეთქი. ეტყობა ლაპარაკის კილოზე შემატყო, რომ ქართველი ვიყავი და გაკვირვებულმა და განაწყენებულმა ქართულად მითხრა, რანაირი ქართველი ხარ, ესპანურად ლაპარაკობო.

მე ერთსა და იმავე დროს შემრცხვა და გამეხარდა კიდეც, რომ ამ პატარა გოგონამ ქართველობა დამიწყნა, ჩემი სამშობლო, ჩემი მიწაწყალი, საკუთარი თავი გამახსენა. თურმე ეს პატარა გოგონა მხოლოდ მამას ელაპარაკება ესპანურად, დედას, ბებიას და დიდ ბებოს კი — ქართულად. თუ მათ ოჯახში მოსული ვინმე ქართველი ესპანურად დაილაპარაკებს, გულმოსული სასტიკად „ლანძღავს“, შენ რანაირი ქართველი ხარო. ცხადია, ენისადმი ასეთი სიყვარული, საქართველოსადმი ასეთი პატივისცემის გრძნობა იმ ქართველმა ქალებმა ჩაუნერგეს, რომლებიც ამ ოჯახში ტრიალებენ. მადლობის მეტი რა გვითქმის ასეთი დედებისათვის.

გასული წლის ივლისში ჩვენდა სამედნიეროდ ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის მოცეკვავეთა გუნდი ჩამოვიდა საგასტროლოდ არგენტინაში. იმ დღისით შემთხვევით ჩვენი ქარხნის პრეზიდენტს შევხვდი. ალბათ ძალიან კმაყოფილი იქნები, თქვენებურები რომ ჩამოვიდნენო. ბედნიერი ვარ—მეთქი, — ვუპასუხე და ცოლ-შვილით კონცერტზე დავპატიჟე. სალამოს პრეზიდენტის ოჯახთან ერთად დარბაზში ვიჯექი. ჩვენს წინა რიგებში განსვენებული აკაკი პაპავას ოჯახის წევრები ისხდნენ.

როგორც კი სინათლე ჩაქრა, სცენაზე არწივებივით გადმოფრინდნენ შავჩოხიანი ახალგაზრდები და გაჩაღდა ქართული ტემპერამენტიანი ცეკვა. ჩემს სტუმრებს შევხედე — ყველანი აღტაცებაში იყვნენ მოსულნი. მე ხომ გული უკვე აღარ მიჩერდებოდა საგულეს. მაგრამ ხულ სხვა იყო, როცა ოცამდე ქალიშვილი გამოვიდა სცენაზე გოგმანით. აქ უკვე ვეღარ შევძელი თავის შეკავება და ბავშვივით ამომიჯდა გული. პრეზიდენტი რაღაცას მეკითხებოდა, მაგრამ მისი თავი ვიღას ჰქონდა, წყაროსავით ცრემლად ვიღვრებოდი.

შესვენებაზე კანცელარიაში შევედი, რაღაცა ნაბეჭდი ქაღალდი ავიღე და მეორე გვერდზე ფანქრით მივაწერე „ჩემო საყვარელო დედ-მამავ“, მერე ცრემლებმა სათვალე დამისველა და ვეღარაფერს ვარჩევდი. აღარც ის მახსოვს კარგად, თუ რას ვწერდი მშობლებს. წერილი მოვეცავე ბიჭებს გადავეცი და შევეხვეწე როგორმე გადაეცათ ჩვენებისათვის.

ორი-სამი თვე ისე გავიდა, პასუხი არა ჩანდა. ამან სადარდებელი მომიმატა. ხან რა ვიფიქრე, ხან რა ჯერ ომის შემეშინდა, ვაი თუ ცოცხლები აღარ არიან—მეთქი, მერე ის ვიფიქრე, იქნებ ჩემი წერილის გამო შეემთხვათ-მეთქი რაიმე ცუდი. ოჯახად — აღარ ვიცოდი, რომელი წყლისათვის მიმეცა თავი, აღარც ძილი მქონდა და აღარც მოსვენება.

სწორედ ამ დროს ერთბაშად ორი წერილი მივიღე. კონვერტზე საბჭოთა გერბი რომ დავინახე, იქვე დავეცი სიხარულით. ჭუჩაში მივდიოდი და დაუფარავად ვტიროდი... მე, შოთა თარხნიშვილი, რომელსაც არაერთხელ ჩამიხედავს სიკვდილისათვის თვალებში და გული არ ამტკივებია, ახლა ვტიროდი. დიდ სიხარულს თურმე ცრემლები სცოდნია.

სახლში მივედი, მაგიდასთან დავჯექი და წერილები წინ დავიწყე. ერთი მთაგანი დისაგან იყო, მეორე მეუღლისაგან. ვიფიქრე: ცოლი ალბათ ოცდასამ წელიწადს მაინც არ დამელოდებოდა და გათხოვდებოდა — მეთქი და პირველად ისევ დის წერილი გავხსენი. ძალიან კარგი ამბები შევიტყე, მაგრამ მთელი სალამო ისე ვტიროდი, რომ ჩემს აქაურ ცოლსაც კი შევებრალე და თვითონვე მითხრა: თუ სამშობლოში დაბრუნება გინდა, წადი, მე არ დაგიშლიო.

ნოემბერში კიდევ მივიღე წერილები და სურათები. ცოლი მწერდა, ნუთუ ღირსი არა ვარ როდისმე თეთრი კაბა ჩავიცვაო? ღმერთო ჩემო, როგორ გავტანჯე საწყალი ქალი! წარმოგიდგენიათ ოცდასამი წლის ლოდინი? — არაკადაც ძნელი დასაჯერებელია. მე კი მელოდებოდა, და ჩემი პატჟვა უნდა მეთქვა. უცბად კი მაინც ვერ გადავწყვიტე.

იმ დღეებში ვანო როხრახაძესაც მიეღო წერილი დედისაგან. ხომ იცით, სამშობლოდან მიღებული ყოველი წერილი დიდი ამბავია აქ მცხოვრები ყველა ქართველისათვის და მეც როხრახაძისაკენ გავეშურე ახალი ამბების გასაგებად. წერილი წავიკითხე, დედა სწერდა „შვილო ვანო, მთავრობამ რა ხანია ამნისტია გამოაცხადა, ბევრი ქართველი დაბრუნდა სამშობლოში და შენ რაღას უცდი, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, ნუთუ შენი უნახავი უნდა მოვკვდე?“ აბა რას ფიქრობ-მეთქი ამ საკითხზე, —ვკითხე ვანოს და გამიკვირდა, როცა მისი პასუხი მოვისმინე: — დედაჩემს ეს წერილი ძალით დაუწერინებო. გავბრაზდი და ვუთხარი, არა ყოფილხარ დედაშენის ღირსეული შვილი-მეთქი, შენ დედის გულს არ იცნობ, დედა რომ გახურებულ თონეში თავდაყირა ჩაკიდონ, მაინც ვერავინ აიძულებს შვილისთვის ცუდი რამე ჩაადენინონ-მეთქი. განა მართლა ასე არ არის? განა შეიძლება ამ ქვეყნად დედობრივ სიყვარულზე უფრო ძლიერი რამე არსებობდეს? განა დედა — ქართველი დედა უმალ თავს არ მოიკლავს, ვიდრე საკუთარ შვილს გასწირავდეს? სხვისი არ ვიცი, მე კი ამ წერილის შემდეგ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში არავითარი საშიშროება არ მელის და მეორე დღესვე საბჭოთა კონსულს ვესტუმრე.

მე კი გადავწყვიტე, მაგრამ სხვისი დარდიც მკლავს: როდემდის უნდა ვიწვნეწალოთ უცხოეთში ზოგიერთმა ქართველებმა? სადამდე უნდა ვიტიროთ და თავში ვიცემოთ ტყუილუბრალოდ? როდემდის უნდა ვიმუშაოთ ვირებივით კაპიტალისტების გასასუქებლად? სხვა ერის საკეთილდღეოდ? განა ყველა ჩვენგანს ვალად არ გვადევს თუნდაც სიბერის ჟამს გავაკეთოთ რაიმე სასარგებლო ჩვენი სამშობლოსათვის?

მე მწამს საბჭოთა მთავრობის ახლანდელი პოლიტიკისა და სურვილი მაქვს სამშობლოში დავბრუნდე. შეიძლება მცირე ხანში კვლავ იმ მიწაზე დავდგა ფეხი, სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და სადაც მამა-პაპათა კუბოს ფიცარი მეგულება. დარწმუნებული ვარ, მალე ჩემს საყვარელ მიწას ჩავეკონები და ჩემი ახლობლების მკერდზე მოვითქვამ დაღლილ ნატანჯ სულსა და გულს. ჩემს ბედში მყოფ სხვა ქართველებსაც ვუსურვებ ასეთ ბედნიერებას.

შოთა თარხნიშვილი,

ქ. ბუენოს-აირესი,

ივნისი, 1965 წელი.

## ახალგაზრდა კუბელთა ბედნიერება

**სოხუმი.** ახალგაზრდა კუბელებმა მარია ბიანკო დაისმა და ნილო აველ დომინგესმა სოხუმის მმაჩის ბიუროში შეაღესეს საქორწინო განცხადება და დაქორწინდნენ.

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის (სადაც ახლად დაქორწინებულნი სწავლობენ) საერთო საცხოვრებელში საქორწინო სუფრას მოუსხდნენ კუბელთა მეგობრები — ინსტიტუტის „ეშერის“ სასწავლო მეურნეობაში მდებარე ლათინურამერიკული სკოლიდან ჩამოსული სტუმრები, სოხუმელი კომკავშრომელები.

სიმღერებსა და ცეკვებს ბოლო არ უჩანდა. თამადამ ბევრი სადღეგრძელო წარმოთქვა: ბედნიერი ოჯახის, მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობის მეგობრობის, ბედნიერებისა და მშვიდობისა. ადღეგრძელეს კუბაც, მისი გმირი ხალხი. გაისმა ახალგაზრდული მარში — თავისუფლების კუნძულის ეროვნული ჰიმნი. მას აჰყვა ამ დაუვიწყარი ქორწილის ყველა მონაწილე. მღეროდნენ კუბელები და მექსიკელები, ეკვადორელები და რუსები, ქართველები და სომხები.

— ძნელია გადმოგვცეთ ის სიხარული, რომელსაც დღეს განვიცდი, — თქვა დომინგესმა. — უცხოელ სტუდენტებს გულწრფელი მეგობრები ახვევიან გარს. მე და მარია ბედნიერები ვართ, რომ ვსწავლობთ და ოჯახს ვქმნით საბჭოთა ქვეყანაში.

## მეგობაროგის გაღი

სოხუმი. სოხუმის ცენტრალური ტურისტული ბაზის ირგვლივ მთელი წლის განმავლობაში სურნელს აფრქვევს ბაღი. ეს ბაღი შექმნეს საბჭოთა და საზღვარგარეთელმა ტურისტებმა. პირველი ყვავილები და მარადმწვანე სუბტროპიკული ბუჩქები მათ ოთხი წლის წინათ დარგეს. ახლა „მეგობრობის ბაღი“, როგორც მას შავი ზღვისპირეთის სტუმრები უწოდებენ ქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე გახდა. ბევრი სიამოვნებით ახარებს და უვლის ამ ბაღს. საქართველოს შავიზღვისპირეთის ამ უდიდეს ბაზაში თავს იყრის ოთხი სრულიად საკავშირო ტურისტული მარშრუტი, ამჟამად აქ ისვენებს ოთხასზე მეტი ტურისტი. მათ შორის არიან ურალის მეტალურგები, დონეცკისა და ყარაგანდის მეშახტეები, ბაქოელი მენავთობენი, უკრაინელი მხვნელ-მთესველები. შუა აზიის რესპუბლიკათა მებამბენი.

მხიარულად და შინაარსიანად ატარებენ ტურისტები დასვენების დღეებს ზღვასთან. მათთვის ეწყობა ლაშქრობები ექსკურსიები სოხუმის, ახალი ათონის, რიწის ტბის თვალწარმტაც შემოგარენში.


წელს სოხუმის ბაზას 20 ათასზე მეტი ტურისტი ეწვევა.

# პოეტის ხსოვნას

**ქართულმა** მწერლობამ დიდი დანაკლისი განიცადა. 3 აგვისტოს სამუდამოდ დაგვემშვიდობა საქართველოს სახალხო პოეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ქართული კულტურის დიდი მოამაგე, უანგარო საზოგადო მოღვაწე და მამულიშვილი **იოსებ გრიშაშვილი.**

მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება იოსებ გრიშაშვილმა (იგი 76 წლისა იყო) მიუძღვნა მშობლიურ ხალხს, ჩვენს მწერლობასა და კულტურას. იგი იყო უსპეტაკესი ადამიანი და ხალხის საყვარელი პოეტი ჩვენმა ხალხმაც დიდად დააფასა იოსებ გრიშაშვილის ღვაწლი და სამუდამო ადგილი მიუჩინა მწერალთა მთაწმინდის პანთეონში, იქ სადაც განისვენებენ ნიკოლოზ ბარათაშვილი და ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა და აკაკი წერეთელი.

ეს სურათი, რომელსაც აქ ვბეჭდავთ, რამდენიმე წლის წინათ არის გადაღებული. სიცოცხლის დიდი მოყვარული პოეტი ყოველთვის ასე ეტრფოდა ჩვენს მომავალს.



იოსებ გრიშაშვილი

## სამშობლოსადმი

„ეს მთა ჩემია! ეს ხე ჩემია!“ —
მე ვიმეორებ ყოველ ცისმარე.
სხვის მიწის ხვეჭა არა გვჩვევია,
ჩვენ საკუთარი ჩვენიც ვიკმარეთ.

„ეს მთა ჩვენია! ეს ხე ჩვენია!“ —
მე ვიმეორებ ყოველ განთიადს.
თუკი რამ კარგი გადამრჩენია,
ისიც სამშობლოს დროშად ანთია.

სამშობლოს დროშა, როგორც ფოლადი,
ერთი მიზნისკენ ჩვენს გულებს იკრებს...
გულო! მებრძოლებს გაუტოლადდი,
თოფის ლულაზე აწყობდე ფიქრებს!

ჩემს სიცოცხლეში ზამბახზე მძიმე
არ წარმომითქვამს სიტყვა და ლექსი,
პეპელას ფრთებზე გამოვიძინე,
მინანავებდა სიოს ალერსი.

როგორც მებრძოლი, ეს მართალია,
მერ არ ვყოფილვარ, ძვირფასო, წინათ;
ჩემში რითმამ და თოფის ფალიამ
თანამოსაგრედ ვერ იქორწინა.

მაგრამ თუ ასტყდა ომი ფიცხელი,
შემოახვიეს მზა ჯებირები,
კალმის მაგივრად ხმალს ვტაცებ ხელსა...
პოეტებს აქაც გავეჯიბრები.

„ეს მთა ჩემია! ეს ხე ჩემია!“ —
მეც ვიმეორებ ყოველ განთიადს,
და თუ რამ კარგი გადამრჩენია, —
ისიც სამშობლოს დროშად ანთია.

## ჩემი თბილისი

ჩემი თბილისი ლექსის სკა არი,
ჩვენ პოეტები — შრომის ფუტკრები.
მიყვარს სამშობლოს თხუთმეტი კარი,
მაგრამ თბილისი — განსაკუთრებით.

ძველად რომ მეგრძნო მეათასედი
ის თანაგრძნობა, რაც ახლა არი,
ლექსში სხვა მარცვალს მოვათავსებდი,
სხვა ექნებოდა ცეცხლს ნაღვერდალი.

მაგრამ ცხოვრებამ ვერ გამამრუდა
და ასე მოველ ხალხის გულამდე.
თბილისის მეზვრე დავრჩები მუდამ
სიყვარულიდან სიყვარულამდე.

# მეამბოხე ხომალდი

**ხომალდი** სამხრეთის მოლოსაკენ მიდიოდა. ნავსადგური გუგუნით ესალმებოდა ვეტერანს. მეზღვაურები ქუდებს უქნევდნენ. „წითელი ოქტომბერი“, რომელიც 50 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სერავდა ზღვებს, დასასვენებლად მიდიოდა. დღეიდან ლეგენდარული გემი წითელფლოტელთა რევოლუციური დიდების მუზეუმი გახდება.

1919 წელს საქართველოში მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყება მზადდებოდა. მაგრამ იგი საყოველთაო აჯანყებად ვერ გადაიქცა. დანიშნულ ვადამდე ორი დღით ადრე ინგლისისა და მენშევიკების დაზვერვამ დაადგინა ბოლშევიკური სამხედრო-რევოლუციური შტაბისა და საგარნიზონო საბჭოს მთელი შემადგენლობა.

მაგრამ აჯანყება მაინც მოხდა. ფოთში, სადაც ძლიერი პარტიული ორგანიზაცია იყო, აჯანყდა რევოლუციური გემის „ჭოროხის“ (შემდეგ „წითელი ოქტომბრის“) ეკიპაჟი. აჯანყებულთ სათავეში ჩაუდგა „ჭოროხის“ კაპიტანი, ბოლშევიკების ფოთის კომიტეტის წევრი **მიხა მაკალათია.**

რამდენიმე დღის განმავლობაში უმკვლავდებოდნენ მეზღვაურები კონტრრევოლუციური ნაწილების ჭარბ ძალებს და თუმცა აჯანყება ჩაახშეს, ფოთელი მეზღვაურების მაგალითმა შემდგომი რევოლუციური ბრძოლისათვის აღაფრთოვანა საქართველოს პროლეტარიატი.

მენშევიკებმა თეთრი ტერორით უპასუხეს აჯანყებას. მათ სატყვრობაში ჩამწყვდიეს და დახვრიტეს არალეგალურად მოქმედი ბოლშევიკების ხელმძღვანელები.

თითქოს რეაქციის ზვირთს უნდა ჩაეხშო რევოლუციური მუშაობა, მაგრამ ამ მრისხანე დღეებშიც გამოიჩინა თავი „ჭოროხის“ ეკიპაჟმა, რომელმაც მენშევიკური ხელისუფალთ დაანახვა, რომ ბოლშევიკები არ ნებდებიან, კვლავ იბრძვიან.

საბჭოთა რუსეთს ნავთობი სჭირდებოდა. საქართველოს ნავსადგურებს, საიდანაც ნავთობი გაჰქონდათ, ფხიზლად იცავდნენ ჯარები. რევოლუციური გემის ეკიპაჟმა, რომელიც ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციის დიდმნიშვნელოვან დავალებას ასრულებდა, სასიკვდილოდ გასწირა თავი.

დეკემბრის ერთ დამეს, როცა გრიგალისაგან აბობოქრებული ზღვა აქაფებული გუგუნებდა, დატვირთული „ჭოროხი“ ჩამქრალი სინათლეებით გასხლტა ნავსადგურიდან. როცა დაცვამ შეიტყო, რომ მოატყუეს, სროლა ატეხა, მაგრამ გემი უკვე გაშლილ ზღვას მიაპობდა.

რამდენიმე დღის შემდეგ „ჭოროხმა“ ნოვოროსიისკის ნავსადგურში დაამთავრა თავისი სახელოვანი რეისი. აქ ხომალდს „წითელი ოქტომბერი“ ეწოდა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაბრუნდა. მისი კაპიტანი მიხა მაკალათია ფოთის ნავსადგურის პირველი საბჭოთა უფროსი გახდა.

„წითელ ოქტომბერზე“ იცვლებოდნენ ადამიანები, მაგრამ არ იცვლებოდა ხომალდის საბრძოლო ტრადიციები. დიდი სამამულო ომის წლებში მის ეკიპაჟს ძველი და გამოცდილი მეზღვაურის **ვარლამ გუჯიას** მეთაურობით არაერთხელ გამოუჩენია თავი მტრებთან შერკინების დროს. ბევრმა მეზღვაურმა მთავრობის მაღალი ჯილდოები დაიმსახურა.

ფოთის ნავსადგური დღეს ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგურია შავ ზღვაზე. აქ ყოველდღე მოდიან სხვადასხვა ქვეყნის ხომალდები. და ყოველთვის საყვირების გუგუნით მიეგებიან ვეტერანს — მარადიული იდეებით შემოსილ ხომალდს.

# მერქნიჭამიებმა შეჭამეს... ხომალდი

მერქნიჭამიებმა შეჭამეს... კატარღა. ეს მოხდა განის ერთ-ერთ ქალაქში. ამ კატარღას ჰქონდა მარკა — „ბათუმი. სსრ კავშირი“.

ამ შემთხვევის გამო ბევრი დაიბნეოდა, ბათუმელი გემთმშენებლები ისეთები როდი არიან, რომლებიც პირველივე წარუმატებლობის შემდეგ სასოწარკვეთილობას მიეცემოდნენ. ისინი ბეჯითად ეძებდნენ ზღვის ცხოველთა საწინააღმდეგო საშუალებებს. იპოვნეს კიდეც. კატარღის ხის კონსტრუქციებს დაუმატეს „სანელებელი“ — სპეციალური ქიმიური სხნარი. მერქნიჭამიები იძულებული გახდნენ შეეცვალათ დიეტა.

ეს ისტორია მიამბო ქარხნის კონსტრუქტორმა ენვერ მალაშონიამ. ეს ამბავი ენვერმა შემთხვევით როდი გაიხსენა. მერქნიჭამიებმა კონსტრუქტორებს ის აზრი შთააგონეს, რომ მინაპლასტისაგან დაემზადებინათ წყალქვეშაფრთიანი კატარღები, წყალქვეშა ფრთებზე ვერ მოქმედებენ ვერც ზღვის ცხოველები, ვერც კოროზია. კატარღებს შეუძლიათ განავითარონ 70 კილომეტრამდე სიჩქარე საათში. მაგრამ, რაც მთავარია, მინაპლასტისაგან დამზადებული კორპუსის დაწებება შეუძლიათ გამოუცდელ ოსტატებსაც კი, ამასთან 18-ჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე კვალიფიციური ოსტატები ამონტაჟებენ ამჟამად ლითონის კორპუსს.

საწარმოში არის მუზეუმი, რომელიც ასახავს ქარხნის შექმნის ისტორიას. ოდესღაც აქ იყო მუშათა ნავების შესაკეთებელი სახელოსნოები. დღეს კი ბათუმელ გემთმშენებელთა ნახელავი მთელ მსოფლიოშია ცნობილი. კომფორტული წყალქვეშაფრთიანი კატარღები, რომლებიც ბათუმელების მიერ არის შექმნილი, დაცურავენ ყველა კონტინენტზე — ტემზიდან სუეცის არხამდე, კარიბის ზღვიდან ამაზონამდე.

მუზეუმში გამოფენილია ქარხნის თითქმის ყველა მუშაკის ფოტოსურათი. აქ არის ყველაზე ახალგაზრდა, 17 წლის ზვინკლი სერგი ჩხარტიშვილის ფოტოსურათი და ფოტოსურათი ქარხნის ვეტერანის, მთავარი მექანიკოსის გალერიან მელიტონის-გორდელაძისა, რომელმაც ამ ქარხანაში თითქმის 30 წელი იმუშავა.

უფრო მოგვიანებით, როცა გავეცანი მათ დავრწმუნდი, რომ ეს უფლება დაიმსახურეს იმ ღირსშესანიშნავ ღამეს, როცა ქალაქს ეძინა, ზღვა კი ბობოქრობდა.

...ბათუმს თავს დაატყდა გრიგალი. ამ მეტრიანმა ტალღებმა გადაუარეს ზღვის პირა პარკს და ქარხანაში შეიჭრნენ წყლით დაიფარა სამქროები. საწყობები, ქარხანა მწყობრიდან გამოვიდა.

დაიწყო თუ არა სტიქიური უბედურება ადამიანები, თითქოს მოულოდნელად კოკისპირულ წვიმასა და გრიგალისგან ქარხნისაკენ გარბოდნენ.

სამ დღეღამეს ებრძოდნენ გემთმშენებლები გააფთრებულ, მძვინვარე სტიქიას იყო მასობრივი გმირობა და ადამიანმა გადაარჩინეს ქარხანა. ათი დღის შემდეგ ქარხანამ გამოუშვა პროდუქცია.

...მზე ზღვაში ეშვება. ოქროსფერ ტალღებზე სხვადასხვაფერად ელვარებენ ტარღები. ისინი ხვალ ზღვაში გავლენ.

ი. დვალიშვილი

საქართველოს კურორტებზე

# მშრომელები ისვენებენ

მზე და ზღვა ხვდება სტუმრებს კავკასიის შავი ზღვის სახელგანთქმულ კურორტ გაგრაში. დამსვენებლები ბევრია აქ წლის ყოველ დროს. პროფკავშირულ და საუწყებო ჯანმრთელობის კერებში, ორ ტურისტულ ბაზაში, ხუთი პანსიონატის კარვების ქალაქებში ყოველწლიურად ორასი ათასზე მეტი კაცი ისვენებს. უსაგზუროდ ჩამოსულ მეკურორტეებთან ერთად ეს ციფრი ხშირად ნახევარ მილიონს აღწევს.

ასამდე ექიმი-თერაპევტი, კარდიოლოგი, ფიზიოთერაპევტი, დიეტოლოგი დგას ადამიანის ჯანმრთელობის სადარაჯოზე. ჯანმრთელობის კერებში იყენებენ მკურნალობის უახლეს მეთოდებს. ჩელუსკინელების სახელობის სანატორიუმსა და სანატორიუმ „საქართველოში“ დანერგილია წყალქვეშა მასაჟი, უანგბადის თერაპია, დინამიკური დენებით, ულტრაბგერით მკურნალობა. ფართოდ იყენებენ გაგრის მინერალური წყლების აბაზანებს, უანგბადისა და მარგალიტის აბაზანებს. დიდმნიშვნელოვანი სამკურნალო ფაქტორი გახდა ჰაერზე ძილი, ეგრეთ წოდებული ძილი „კლიმატურ კარვებში“.

ჩელუსკინელების სახელობის სანატორიუმში იყენებენ სპეციალურ კომპლექსს გულის სისხლ-ძარღვების დაავადებულთა მკურნალობისათვის. არქიტექტორთა ფონდის დასასვენებელ სახლში აქტიური დასვენების მთელი კომპლექსი ეწყობა პლაჟზე.

წყალსამკურნალოებში ავადმყოფებს ემსახურება წიწვიანი რადოლის, იოდ-ბრომის აბაზანები გამობარი ზღვის წყლით.

ზედ შავი ზღვის პირას შენდება კიდევ ერთი ჯანმრთელობის კერა. ეს ახალი წყალსამკურნალოა. ამ კომფორტულ შენობაში დამსვენებლები ყოვველწლიურად მიიღებენ 250 ათასზე მეტ სხვადასხვა პროცედურას, 170 ათას აბაზანას.

გაგრის ჯანმრთელობის კერების კოლექტივები გამოეხმაურნენ მინერალური წყლების მუშაკთა მოწოდებას გაშალონ შეჯიბრება დამსვენებელთა საუკეთესო მომსახურებისათვის. ჩელუსკინელების სახელობის სანატორიუმში შენდება 160 ადგილიანი ახალი სამძლე კორპუსი. ასეთსავე შენობას აგებენ მეზობელ სანატორიუმ „შუქურასთან“.

გაჩაღებულია საკურორტო სეზონი გაგრაში.

. . .

სურათზე: ზემოთ, გაგრა. საღამო ზღვის პირას.





## სასწაულმოქმედი წყლები

თბილი და მზიანი ამინდები, სასწაულმოქმედი მინერალური წყლები — ყველაფერი ეს ხელს უწყობს წყალტუბოში ჩამოსულ ავადმყოფ-დამსვენებლებს კარგი მკურნალობისა და დასვენებისათვის.

კურორტს მრავალი ახალი კეთილმოწყობილი ჯანმრთელობის კერა შეემატა. დამთავრდა სანატორიუმ „თბილისისათვის“ ახალი კორპუსის მიშენება. კეთილმოწყობილ იქნა კურორტის ცენტრი, გამწვანდა და გალამაზდა მინერალური წყაროების პარკი. სანატორიუმ „მეტალურგის“ მე-2 კორპუსის ახალმა შენობამ, რომელიც 225 — საწოლიანია, კიდევ უფრო მომხიბვლელი გახადა ჯანმრთელობის ეს შესანიშნავი კერა.

წელს კურორტი წყალტუბო 100-ათასზე მეტ ავადმყოფ-დამსვენებელს გაუწევს მომსახურებას.

სურათზე: ქვემოთ, კურორტ წყალტუბოს დამსვენებელთა ერთი ჯგუფი გასეირნების დროს.

# მაღალი მოვალეობა

გულთბილად შეხვდნენ კონცერტზე მოსული მაყურებლები მახიობს, როცა იგი სცენაზე გამოვიდა. მაგრამ სიხარული მაშინვე შეშფოთებამ და გაკვირვებამ შეცვალა, სულ უფრო ხმამაღლა და მკაფიოდ გაისმოდა დარბაზში: „ქურქი ჩაიცვით“, „გაცივდებით“, „ასე არ შეიძლება“. მსახიობი სცენაზე იდგა ჩვეულებრივ, მსუბუქი საკონცერტო კაბით, სიცივით ოდნავ გაფითრებულ სახეზე ღიმილი უკრთოდა. მაყურებლებს კი ქურქები, თეჯურები და თბილი ქუდები ათბობდა. გავარვარებული იყო უზარმაზარი ღუმელები, მაგრამ დარბაზში მაინც ციოდა — გარეთ 50 გრადუსი ყინვა იდგა...

მრავალი ასეთი ეპიზოდი შეიძლება მოვიყვანოთ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ნინო ზედგინიძის შორეულ ჩრდილოეთში გამართული კონცერტების ისტორიიდან. ის უკვე შეეჩვია, რომ მაყურებლები გულთბილად სთხოვენ მას ქურქი ჩაიცვას, რომ შეიძლება გაცივდეს, მაგრამ მსახიობი უარზეა — მას ათბობს მაყურებლის გულისხმიერება.

ასეთივე ამბავი მოხდა კომის ასსრ ვორკუტის ოლქის ქალაქ ინტაში.

ამ სასტიკ ყინვაში, წერს ქალაქის გაზეთი „ისკრა“, ყველას როდი სიამოვნებს ქუჩაში გასვლა, მაგრამ ნ. ზედგინიძე იმდენად პოპულარულია, რომ კონცერტზე მეტი ხალხი მოვიდა, ვიდრე დარბაზი იტევს. ნ. ზედგინიძემ უკვე გამართა კონცერტი დაბა ზაპადნის კულტურის უნივერსიტეტის მსმენელებისა და № 1 შახტის მაღაროელთათვის. სამხრეთიდან ჩამოსულმა სტუმარმა წაიკითხა ა. ბელიაშვილის რომანის „ბესიკის“ ლიტერატურული მონტაჟი. კონცერტს დიდი წარმატება ხვდა წილად, მსახიობს კი გადასცეს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რაიონული კომიტეტის საპატიო სიგელი.

უკვე ათი წელია მხატვრული სიტყვის ოსტატი ნინო ზედგინიძე პროპაგანდას უწევს ქართულ კლასიკურ, თანამედროვე და ხალხურ პროზასა და პოეზიას ჩვენი ქვეყნის შორეულ კუთხეებში. მისი საყვარელი ავტორები არიან ვაჟა ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი, გალაქტიონ ტაბიძე, ირაკლი აბაშიძე, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე და სხვა ქართველი მწერლები და პოეტები. მათი ნაწარმოებები მსახიობმა გააცნო პოლარელთა, შორეული ალმოაველეთის, ყამირის მხარის და ვინ მოსთვლის რამდენი შორეული რაიონის მცხოვრებლებს ნ. ზედგინიძე კონცერტებს მართავს საამქროებში, ყამირის მხარის საბჭოთა მეურნეობებში, შახტებში. ამას წინათ იგი ყამირის მხრიდან დაბრუნდა, სადაც ერთ თვეში 58 კონცერტი გამართა. ნაყოფიერი შრომისათვის მსახიობი დააჯილდოვეს ბედლით „ყამირი მიწების ათვისებისათვის“, ოლქის საპატიო ნიშნით „ყამირის მეათე მოსავალი“.

მაგრამ ნ. ზედგინიძის საქმიანობა მხოლოდ კონცერტებით როდი ამოიწურება. იგი აქტიურად მონაწილეობს კულტურის უნივერსიტეტების მეცადინეობაში. ახლა, თქვა მსახიობმა, ჩვენს ქვეყანაში დიდ ინტერესს იჩენენ ქართული ლიტერატურისადმი, ყველგან ეწყობა ლექციები, საუბრები. კონცერტების შემდეგ მაყურებლები უამრავ შეკითხვას აძლევენ მსახიობს, სთხოვენ გამოუშვანოს ლიტერატურა.

კიდევ ერთი რამ ახასიათებს მხატვრული სიტყვის ოსტატს: კონცერტს იგი ყოველთვის ქართულად იწყებს. მაგალითად, მისი პროგრამა „ქართული ნოველის საღამო“ იწყება „ლეგენდით სალამურზე“ მსახიობი მაყურებლებს მოკლედ უამბობს შინაარსს რუსულად.

ახლა ნინო ზედგინიძე ამზადებს „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციას, რომელსაც მოუთმენლად მოელიან მისი თაყვანისმცემლები შორეულ ჩრდილოეთსა და ყამირის მხარეში.



პიონერული ზაფხული

# არქიტექტორი

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სამმართველოში სამმართველოს უფროსის ნ. აბაშიძის თავმჯდომარეობით განიხილავდნენ აჭარის მომავალ მშენებლობათა პროექტებს. შეკრებილებმა ერთსულოვნად მოიწონეს პროექტი საზოგადოება „ინტურისტის“ 16-სართულიანი სასტუმროს შენობისა, რომელიც ქობულეთში უნდა აშენდეს. მალე საკურორტო ზონის ცენტრში დაიწყება აჭარაში პირველი 16-სართულიანი კომფორტული სასტუმროს მშენებლობა, რომელსაც 600 ადგილი ექნება. სასტუმრო მწყობრში ჩადგება ორი წლის შემდეგ.

დამტკიცდა აგრეთვე ქალაქ ბათუმის სანაპირო ზონის დეტალური დაგეგმარების პროექტი, რომელიც შეიმუშავა საქართველოს სახელმწიფო საქალაქო მშენებლობის საპროექტო ინსტიტუტის ბათუმის ფილიალმა. გათვალისწინებულია დაინგრეს ძველი ნაგებობანი და აიგოს მრავალსართულიანი შენობები. გათვალისწინებულია აგრეთვე დიდი მწვანე მშენებლობა თავისუფალი დაგეგმარების პრინციპით. ეს სიახლე პირველად ინერგება აჭარაში.

არქიტექტორი ნ. აბაშიძე უკვე ათ წელზე მეტია სათავეში უდგას აჭარის მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს. ახლა ბათუმში ყოველწლიურად მწყობრში დგება 20 ათასი კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. საცხოვრებელი სახლების უველა პროექტი და ნახაზი ნ. აბაშიძის ხელში გადის.

მაგრამ იგი მხოლოდ ვიზას როდი აძლევს წამოყენებულ პროექტს, თვითონაც მონაწილეობს მშენებლობაში. ნ. აბაშიძის პროექტით აშენდა ბათუმის ერთ-ერთი საუკეთესო შენობა — პრესის სახლის სამსართულიანი შენობა ოქტომბრის პროსპექტზე. ამ შენობის პროექტი ჯერ კიდევ მაშინ შეიმუშავა, როდესაც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი იყო. აბაშიძის ხელმძღვანელობით აშენდა ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრისა და საზაფხულო თეატრის შესანიშნავი შენობები. იგი ავტორია კინოთეატრ „თბილისის“ პროექტისა. ახლა შენდება 700-ადგილიანი დახურული ბაზარი, რესტორანი „სპორტი“. მის სახურავს გამოიყენებენ „დინამოს“ სტადიონის სამხრეთ ტრიბუნად. ამას წინათ ნ. აბაშიძემ წარმოადგინა ბათუმის სასტუმრო „ინტურისტის“ გაფართოების პროექტი.

ა. გურგენიძე

# ფართოვდება სასტუმროთა ქსელი

**თბილისის** აეროპორტის ახლოს სწრაფი ტემპით შენდება ახალი ოთხსართულიანი სასტუმრო. მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ელბაქიძის დარმართის დასწყისში, მაღლა იწევს სასტუმრო „ინტურისტის“ ახალი მაღლივი შენობის კარკასები.

რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა სასტუმროთა ქსელის მშენებლობისა და გაფართოების სამუშაოები.

დიდი ყურადღება ეთმობა ტურისტთა სასტუმროების მშენებლობას. თბილისში სოფელ ბაგებში საექსპლოატაციოდ გადაეცა 260-ადგილიანი სასტუმრო „ტურისტი“, თბილისის იპოდრომის ტერიტორიაზე—ავტოტურისტთა კემპინგი, ხოლო საქართველოს დედაქალაქში შემოსასვლელთან საქართველოს სამხედრო გზის მხრიდან მოტოოტელი და კემპინგი. ახალმა სასტუმროებმა დაამშვენეს კუროორტები ბაკურიანი და ფასანაური. მალე მწყობრში ჩადგება მაღლივი სასტუმრო პანსიონატები საზღვაო კუროორტ ბიჭვინთაში. ადგენენ თბილისის 18 სართულიანი სასტუმროს პროექტს.

1966-1968 წლებში ახალი მრავალსართულიანი სასტუმროები აშენდება თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ქობულეთში, ბორჯომსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში.

# დათვალიერება

ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების დიდი მოვლენა იყო კულტურის უნივერსიტეტების სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერება. დათვალიერება მოაწყვეს სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნამ“, პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, კულტურის სამინისტრომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა.

დათვალიერებაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სისტემაში შემავალი კულტურის 16 სახალხო უნივერსიტეტი. მუშაობის კარგი შედეგები უჩვენეს სოფელ იყალთოს, ქუთაისის, გორის, მახარაძის კულტურის უნივერსიტეტებმა. ტაუჭობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, პროგრამა, თემატიკა, უკეთ ეწყობა სემინარები, ლაბორატორიული მეცადინეობა, ამაღლდა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის დონე.

იყალთოს კულტურის უნივერსიტეტის ინიციატივით პირველად რესპუბლიკაში მოეწყო დიდ სამამულო ომში დაღუპულ მეომართა მუდმივი სტენდი, ძველი რელიგიური დღესასწაული „ამაღლება“ შეცვალა ახალმა საყოველთაო-სახალხო დღესასწაულმა „შოთაობამ“. ახლა ამ სოფელში, სადაც უძველესი აკადემია იყო, ზეიმობენ დიდი პოეტის რუსთაველის დღეს. დათვალიერების დროს გორში გაიმართა ათი დისპუტი ერისთავის სახელობის თეატრის სპექტაკლების გამო, ბორჯომში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი სოფლების ტაბაწყურისა და ტირძნისის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისათვის.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ სახალხო უნივერსიტეტების სრულიად საკავშირო დათვალიერების საორგანიზაციო კომიტეტს დიპლომებით დასაჯილდოებლად წარუდგინა სოფელ იყალთოს, ქალაქების გორისა და მახარაძის კულტურის სახალხო უნივერსიტეტები.

რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ პირველი ხარისხის დიპლომით დააჯილდოვა ქალაქ ბათუმის კულტურის სახალხო უნივერსიტეტი, მეორე ხარისხის დიპლომით — ცხინვალის კულტურის უნივერსიტეტი და მესამე ხარისხის დიპლომით — ლიხაურისა და ბორჯომის კულტურის უნივერსიტეტები.

# მღერის ოჯახი

**სოფელ** ზემო მაჩხაანის კულტურის სახლის დირექტორი იოსებ გოგაშვილი 35 წლის მანძილზე ფიზიკურად მუშაობდა კოლმეურნეობაში. პარალელურად თავისუფალ დროს აქტიურ მონაწილეობას იღებდა სოფლის მომღერალთა გუნდში. უკანასკნელი 10 წელიწადია თვითონ ხელმძღვანელობს ამ გუნდს.

გუნდის რეპერტუარშია ქართული ხალხური სიმღერები. გუნდმა მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკურ 9 ოლიმპიადაში და დაჯილდოებულია ამდენივე ქების სიგელით. მისი რეპერტუარიდან ფირზე ჩაწერილია 16 სიმღერა.

მღერის იოსების ხუთივე შვილი. სოფელში ხშირად აწყობს კონცერტებს გოგაშვილის ოჯახი.

# გმირთა ხსოვნის უკვდავსაყოფად

**ბათუმი**, ბათუმის ლენინის სახელობის პიონერთა პარკში გაიხსნა გმირი პარტიზანის ზოია კოსმოდემიანსკაიას ძეგლი. ორმეტრიან ბრინჯაოს კვარცხლბეკზე დგას მამაცი საბჭოთა ქალიშვილის ბრინჯაოს ბიუსტი. ეს სათვალავით შეათე ბიუსტია, რომელიც უკანასკნელ ხანებში დაიდგა ქალაქში.

ბათუმის პარკებსა და სკვერებში აღმართულია ალექსანდრე პუშკინის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, ეგნატე ნინოშვილის, იაკობ გოგებაშვილის, დავით კლდიაშვილის, საბჭოთა კავშირის გმირის მფრინავ ისრაფილ ჯინჯარაძის, პირველი აჭარელი მფრინავი ქალის ფატი გოგიტიძის ბიუსტები.

უახლოეს ხანებში ქალაქის სანაპიროზე, თვალწარმტაც სკვერში აღიმართება დიდ სამამულო ომში დაღუპულ მეომართა დიდების ობელისკი. განზრახულია აგრეთვე პიონერთა პარკში დაიდგას ქართველი პარტიზანის ზოია რუხაძის ბიუსტიც.

# მოდერნიზებული ავტოსაწევარი

ქუთაისი. ამჟამად მოსკოვში, მოსკოვ-კალინინის ტრასაზე სახელმწიფო გამოცდას გადის ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში დამზადებული ორი ავტოსაწევარი „608-ბ“, რომლებიც დამზადდა საავტომობილო ქარხნის კონსტრუქტორებისა და თბილისის მანქანათმცოდნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკების თანამშრომლობით. ეს მანქანა შეიქმნა ავტოსაწევრის „608“ ბაზაზე, რომლის სერიული წარმოება ქარხანამ მესამე კვარტალის ბოლოსათვის უნდა დაიწყოს.

ავტოსაწევრის უკანა ხიდი ორგადამცემიანია. მისი უპირატესობა ის არის, რომ დიდად აუმჯობესებს ავტომობილის დინამიკურ თვისებებს, ხელს უწყობს საწევის ეკონომიას.

მნიშვნელოვნად შეიცვალა მოდერნიზებული „608-ბ“ ავტოსაწევრის კაბინაც. აქ ძრავა მძღოლის გვერდით კი არ არის მოთავსებული, როგორც ეს „606“ ავტოსაწევარში იყო, არამედ უკან. კაბინაში მოწყობილია კომფორტული საწოლი.

ახალი ავტოსაწევარი გამოცდას დაამთავრებს სექტემბერში.

# ტურისტული ზაფხული საქართველოში

## ახალი ტურისტული ბაზა — სასტუმროები

ახალ ათონში შავი ზღვის ნაპირას ბორცვზე აღმართულა ტურისტული ბაზის ლამაზი შენობა. მის გარშემო მრავალწლოვანი ხეებია, რომელთა ჩრდილში ისვენებენ ტურისტები ზღვაში ბანაობის შემდეგ. თავიანთი ოთახების ნარფენრადი ლოჯიებიდან დასვენებლები ტკბებიან ზღვის ლამაზი პეიზაჟით. ახალ კორპუსში 200 ადგილია. იგი ზამთარშიც მიიღებს ტურისტებს. მომავალი წლიდან ახალ ათონში დაიწყება კიდევ ერთი 200-ადგილიანი საძინებელი კორპუსის, აგრეთვე კლუბ-პავილიონისა და სასადილოს მშენებლობა.

მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა სოხუმის ტურისტული ბაზის კულტპავილიონის სამსართულიანი შენობა. აქ მოთავსდება 300-ადგილიანი კლუბი, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, ტურისტული კაბინეტი, საცეკვაო მოედანი. მალე დამთავრდება თელავის ახალი ტურისტული ბაზის მშენებლობა. ამ ბაზაში ორასი ადგილი იქნება.

საქართველოში კიდევ რამდენიმე ტურისტული ბაზა შენდება. ამოყვანილია ბაკურიანის ტურისტული ბაზის 200-ადგილიანი ოთხსართულიანი შენობის კედლები. მომავალ წელს მწყობრში ჩადგება მესტიის ტურისტული ბაზა „უშბა“. ბაზას დაამშვენებს სვანური კოშკი, რომელშიც მოთავსდება რადიოკვანძი, სამედიცინო პუნქტი და ტურისტული აღჭურვილობის პუნქტი.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტებში არქიტექტორები მუშაობენ მთელი რიგი ტურისტული ბაზა-სასტუმროების პროექტების შექმნაზე. მათი მშენებლობა 1966-1967 წლებში დაიწყება. თვითეული ბაზა ერთდროულად მოემსახურება 200-500 ტურისტს. ასეთი კომპლექსური ტურისტული ბაზები აშენდება თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ყაზბეგში, ქობულეთში, სოფელ ხენდოსა და სხვა ადგილებში.

ახალი ტურისტული ბაზა-სასტუმროების ასაშენებლად არქიტექტორებმა და დამპროექტებლებმა ამოირჩიეს ულამაზესი ადგილები, ხოლო შენობები ისე აშენდება, რომ თავიანთი ოთახების ლოჯიებიდან ტურისტებს შეეძლებათ თვალი გადაავლონ ამა თუ იმ მხატვრის ყველა მთავარ ობიექტს. მაგალითად, ყაზბეგის ტურისტული ბაზიდან კარგად მოჩანს სოფელი ყაზბეგი და მყინვარწვერი, დარიალის ხეობის დასაწყისი; ბათუმის, სოხუმის და ქობულეთის ტურისტული ბაზები შენდება ზღვის ნაპირზე და საკუთარი კეთილმოწყობილი პლაჟები ექნებათ; არაგვის ხეობის შესანიშნავი ხედი გადაიშლება ფასანაურთან მდებარე სოფელ ხენდოს ტურისტული ბაზიდან.


მრავალ ტურისტს ხიბლავს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ქმნილებანი. ვარძიასა და სიღნაღში შენდება ორას-ორასადგილიანი ტურისტული ბაზები. ვარძიის ტურისტული ბაზიდან, რომელიც პირველ სტუმრებს შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის მიიღებს, კარგად გამოჩნდება ვარძია, მტკვრის ხეობა, თმოგვის ციხე და სხვ. სიღნაღის ტურისტული ბაზის სტუმრების თვალწინ გადაიშლება ალაზნის ველის დიდებული ხედი.

ახალი ტურისტული ბაზების მრავალსართულიანი შენობები აღიმართება ქუთაისსა და ბორჯომში. წარმოებს სამუშაოები ახალი საზღვაო კურორტების ურეკისა და მიუსერას ასათვისებლად. აქ აშენდება ოთხსართულიანი კომპლექსური ტურისტული ბაზები, რომლებიც ერთდროულად ოთხას-ოთხას ტურისტს მოემსახურებიან.

მარტო მიმდინარე წელს საქართველოს ტურისტული ბაზების მშენებლობას მოხმარდება 1.130 ათასი მანეთი — ერთიორად მეტი, ვიდრე 1964 წელს.

**სურათზე:** მარჯვნივ — მშვენიერი სანაპიროა ერწოს ტბა; ქვემოთ — ტურისტები სვანეთში.





წერილი ეკიფანე ხელაძეს

# ჩემო საყვარელო უცნობო მამა!



ვიწყებ წერილის წერას. შენი სურათი მიდევს წინ და ვეკითხები — სად ხარ ჩემო მამა, ან ხარ კი საერთოდ ცოცხალი?!

ყველანი გიცნობენ, ყველას ახსოვს შენი სახე. მარტო ჩემთვის ხარ უცნობი, მამა. მე არც სახე მახსოვს შენი და არც მოგერება. მე რა ვიცი მამის სითბო. აბა რა უნდა მახსოვდეს, აკვანში დამტოვე ჩვილი. 23 წელი გავიდა მას შემდეგ, რასაკვირველია, შენც ველარ მიცნობ.

სულ მალე, რამდენიმე თვეში 24 წლისა გავხდები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ. ბიოლოგიის ფაკულტეტს ვამთავრებ. ლუარამ საშუალო სკოლა დამთავრა და მასთანაც დედასთან. შენი წერილები უთვალავჯერ აქვს წაკითხული. მას ხომ ერთი საკუთარი წერილიც აქვს, 4 წლისთავზე რომ გამოუგზავნე. ის არის მისი ყველაზე უძვირფასესი ნივთი. დედა 28 წელია სკოლაში მუშაობს. შარშან საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა. სიხარული უსაზღვრო ექნებოდა, ჩვენთან ერთად შენც რომ მიგეღოცა. სიხარულში მწუხარება ერია უშენობით.

სკოლას, რომელსაც ომში გაწვევამდე შენ ხელმძღვანელობდი, ახლა ვანო ბიძია უდგას სათავეში. ძმამ გაავრძელა შენი აქაური საქმიანობა.

წელს 22 ივნისს შენი ფრონტის ამხანაგი, ვარდენ მენაბდე გვესტუმრა. შენს მაგივრად სამწუხარო ამბავი დახვდა. ვარდენმა გადმოგვცა, რომ 1943 წლის 2 დეკემბერს დაჭრილხარ. ჭრილობა მას შეუხვევია და საველე ლაზარეთში გაუგზავნიხარ. მას შემდეგ არაფერი იცის.

„სად ხარ?!“ — გეძახის ჩემი შეწუხებული დედა.

„სად ხარ?!“ — გიხმობთ შვილები და ნათესავები, გკითხულობენ და გეძებენ მეგობრები, ამხანაგები.

სადა ხარ, მამა?! ნუთუ ვერ ვეღირსებით შენს ხილვას?!

შენი ქალიშვილი

ირინე ხელაძე.

თბილისი, ვახუშტი ბაგრატიონის ქ. № 37.



## ᲓᲐᲒᲔᲥᲕᲔᲜ, ᲛᲝᲒᲔᲚᲘᲐᲜ

**ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲡ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲡ-ᲫᲔ**, დაბადებულს 1910 წელს, ქ. თბილისში, ეძებს მამა—სიმონ გიორგის-ძე წიკლაური.

**ᲛᲐᲙᲠᲐᲚᲘᲬᲕᲘᲚᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ (ᲒᲐᲘᲝᲖ) ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠᲘᲡ-ᲫᲔ**, დაბადებულს 1924 წელს, ქ. თბილისში ეძებს მამა — ვლადიმერ ივანეს-ძე მაკრალიშვილი.

**ᲖᲐᲠᲐᲜᲓᲘᲐᲡ ᲔᲕᲒᲔᲜᲘ ᲪᲐᲐᲨᲣᲚ-ᲫᲔ**, დაბადებულს 1907 წელს, ზუგდიდის რაიონის სოფ. ჯიხასკარში, ეძებენ — მეუღლე ვერა თევდორეს ასული ზარანდია (ფიფია); შვილები მანანა და თემური.

**ᲨᲐᲕᲐᲫᲔ ᲯᲔᲛᲐᲚ ᲨᲔᲘᲓᲐᲚᲘᲡ-ᲫᲔ**, დაბადებულს 1919 წელს, ხულოს რაიონი სოფ. ქედლებში, ეძებს დედა — ხატიჯე საყიბის ასული შავაძე.

**ᲩᲘᲖᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲕᲐᲜᲝ ᲡᲐᲜᲓᲠᲝᲡ-ᲫᲔ**, დაბადებულს 1922 წელს, სიღნაღის რაიონის სოფელ ანაბაში, ეძებს დედა — მარიამ თანდაშვილი.

**ᲰᲔᲚᲔᲜᲘᲫᲔ ᲛᲔᲚᲘᲢᲝᲜ (ᲕᲘᲢᲘᲙᲝ) ᲡᲔᲠᲒᲝᲡ-ᲫᲔ**, დაბადებულს 1908 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ ჯედა გუგეულში, ეძებს ძმა — შალვა სერგოს-ძე ჰელიძე.

**ᲮᲝᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ (ᲗᲝᲠᲐ) ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲡ-ᲫᲔ**, დაბადებულს 1911 წელს, ეძებენ დედა — შუშანა ხომერიკი და შვილები რევაზი და გურამი.

# სპორტშლი ვიეროსპლვა

**დამთავრდა** ჩოგბურთელთა მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მსოფლიოს უძლიერესი სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ეს ტურნირი სულ უფრო და უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს საერთაშორისო ასპარეზზე.

ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ავსტრალიელმა მ. სმიტმა. სმიტს კარგად იცნობს ჩოგბურთის სამყარო, მან ამასწინათ უიმბლდონში გაიმარჯვა, ხოლო მოსკოვში კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მსოფლიოში ბადალი არ ჰყავს.

ტურნირში ვაჟთა შორის გამარჯვებული გამოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ**. ეს 22 წლის სპორტსმენის მეორე წარმატება იყო წელს. ჯერ ერთი საბჭოთა სპორტსმენებს შორის იგი პირველია ვინც ეს ტურნირი მოიგო და მეორეც ის, რომ წელს მეორედ დაამარცხა თავისი ძირითადი კონკურენტი, ჩვენი ქვეყნის **№ 1** ჩოგბურთელი თ. ლეიუსი. ამ გამარჯვებებმა მეტრეველს მოუტანა „დინამოს“ საკავშირო პირველობის ჩემპიონობა და საერთაშორისო ტურნირის მოგება.

მეტრეველმა დაამარცხა ძნელი მეტოქეები — ეგოროვი, პარმასი. ნახევარფინალში კი ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ფოქსი (3:1). ფინალში მეტრეველმა ბრწყინვალედ ითამაშა და მოუგო ლეიუსს ანგარიშით 3:1 (3:6, 6:4, 6:0, 9:7).

ალექსანდრე მეტრეველის კლასი ამ ბოლო ხანებში საგრძნობლად გაიზარდა, ამას ერთხმად აღნიშნავენ სპეციალისტები და უნდა ველოდოთ, რომ იგი ახალ, ბრწყინვალე გამარჯვებებს მოიპოვებს.

**რა** ემართება თბილისის „დინამოს“? ეს კითხვა აღელვებს არა მარტო ქართველ გულშემატკივარს, არამედ ყველას, ვისაც უყვარს ლამაზი, ტექნიკური ფეხბურთი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე ჩემპიონატმა დაჰკარგა სანახაობითი მხარე, სწორედ იმიტომ, რომ გასული წლის ჩემპიონი უფერულად თამაშობს.

მსოფლიოს ფეხბურთში ახლა წარმატებით ინერგება ყოველგვარი „ზებეტონები“, რომელსაც არაფერი აქვს საერთო თამაშის ესთეტიკურ მხარესთან. სამწუხაროდ ეს ტენდენციები ფართოდ გავრცელდა ჩვენშიც და მას დაემატა კიდევ ერთი რამ — „ჯარიმების ტაქტიკა“. რა არის ეს? გუნდი თავიდანვე დაცვას მიმართავს, კიდევ მეტი, იგი ყოველნაირად ცდილობს ხელი შეიშალოს და მიმართავს წესების აშკარა და განზრახ დარღვევას. სანამ შემტევი გუნდი მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანამდე მივა, მსაჯი იძულებულია თამაში სულ ცოტა სამჯერ-ოთხჯერ გააჩეროს, რადგან მეტოქე არაფერს ერიდება ამას ემატება წესების დამრღვევები სადმი მსაჯების, ზოგჯერ, ლიბერალური დამოკიდებულება. ამ ხერხს განსაკუთრებით წარმატებით იყენებს თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ ტემპი ვარდება, თამაში უფერულდება, ხშირი და ამასთან ერთად განზრახ ჩადენილი უხეშობა ჩვენს ფეხბურთელებში იწვევს გაღიზიანებას, ნერვების მოშლას და ისეთ საპასუხო ექცევებს რომლებიც ხელს უშლიან გამარჯვების მიღწევას.

მაგრამ ეს ყველაფერი არამცდა არამც არ სწნის თბილისის დინამოელებს დანაშაულს. გუნდი, როგორც ახლა ირკვევა, ცუდათ მოემზადა სეზონისათვის. 4 მთამაშის სისტემატურმა გამოსკვლევამ ნაკრებში, თამაშებმა თასზე ფსიქოლოგიური გადალა გამოიწვია. ადმინისტრაციულ-ორგანიზაციულ საქმეებმა თითქოს გამოაცოცლა კოლექტივი, მაგრამ კუბოზეც გამარჯვების შემდეგ (1:0) თბილისელები მინსკში დამარცხდნენ (0:1). მინსკელებმა მანამდე ორი დღე ითამაშეს სსრ კავშირის თასის ფინალში და დიდი ენერგია დახარჯეს. ორ დღეში კი ისინი ვერ შესძლებდნენ ენერგიის აღდგენას, მაგრამ თბილელებს მაინც მოუგეს. გაშვებული პირთა დაცვის სინდისზეა (ეს მერამდენჯერ?!). ჩვენ შორსა ვართ ამ აზრისაგან, რომ ვთქვათ, თითქოს ჩვენი ფეხბურთელები პირველი ადგილს დაიკავებენ. არა. ისინი სხვებზეც ვერ მოხვდებიან (ბევრი ჭკუსაც დაკარგული), მაგრამ მაინც ვფიქრობთ რომ გააუმჯობესებენ თამაშს და გადალახავენ იმ ფსიქოლოგიურ ბარიერს, რომელიც მათ მატარებელს იქცა.

რაც შეეხება ჭუთაისელ ფეხბურთელებს. მთელი რიგი წარმატებები შემდეგ დამარცხება ოდესაში ადგილობრივ „ჩერნომორეცთან“ — ეს მართალია ბოლო ხანებში გუნდი მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თამაში, მაგრამ სამწუხარო ჩავარდნებს კვლავ აქვს ადგილი. მიუხედავად ამისა გუნდი შესძლებს დარჩეს უმაღლეს ლიგაში, თუმცა არც ამის მტკიცება შეიძლება ხელაღებით. ვნახოთ ყველაფერს უახლოესი სამი-ოთხი ტური გვარკვევს.

ო. ლორთქიფანიძე.

## უნივერსალური თიხა

**პირველი**, რაც აქ ერთბაშად იპყრობს ყურადღებას ის არის, რომ სახლები საოცრად თეთრია. თითქოს ციტრუსოვანთა ბაღებისა და ჩაის პლანტაციების ზღვაში დაბუდებულანო. ეს არის მახარაძის რაიონის სოფელი ასკანა.

რატომ არის ასეთი თეთრი ეს სახლები? ამის პასუხად ადგილობრივი მცხოვრებლები დაგანახვებენ ბორცვებს, რომლებიც შორიდან თეთრად მოჩანან. ეს არის ასკანის ბენტონიტის თიხის საბადოები. უხსოვარი დროიდან ამ სოფლის მცხოვრებლები ასკანის თიხისაგან ამზადებდნენ ჭურჭელს, იყენებდნენ საშენ მასალად.

ამჟამად ასკანის თიხას ფართოდ იყენებენ ნავთობის მრეწველობაში ჰაბურღილების ბურღვის, ბენზინისა და ნავთის გამოხდის დროს. ამ თიხის საშუალებით კვების მრეწველობაში ასუფთავებენ მზესუმზირასა და ბამბის ზეთს, ხოლო ყურძნის ღვინოს ქარვისფერს აძლევენ.

უნივერსალური თიხა გამოყენებულია მედიცინაშიც. ამ თიხას იყენებენ მწყემსებიც პირუტყვის კანის დაავადების სამკურნალოდ. და, ბოლოს, საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის თანამშრომელთა მეოხებით ასკანის თიხას იყენებენ კიდევ ერთ დარგში. აღმოჩნდა, რომ თუ პირუტყვის საკვებში გავურევთ თიხის მცირე დოზას, საგრძნობლად დიდდება საკვების შეთვისება.

ასკანაში თიხის ვეებერთელა საბადოებია. ეს არის მაღალი ბორცვების მწკრივი, რომლებიც ათობით კილომეტრზეა გადაჭიმული.

## ნ. კახიანის სახელობისა

პროფესორ ნიკოლოზ კახიანის — თვალსაჩინო მორფოლოგისა და ქირურგის სახელი კარგად ცნობილია არა მარტო რესპუბლიკის სამედიცინო საზოგადოებრიობისათვის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ნ. ს. კახიანმა საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა კლასიკური ანატომია დაუკავშირა პრაქტიკულ ქირურგიას. მან, როგორც შესანიშნავმა პრაქტიკოსმა, თბილისში პირველად გააკეთა ისეთი რთული ოპერაციები, როგორიც არის ტვინის დანამატის მოკვეთა, თავის ქალის ტრეპანაცია ტრავმატული ეპილეფსიის მკურნალობისათვის, გამოიყენა ქირურგიული ჩარევა კუჭის წყლულოვან დაავადებათა დროს და სხვ.

ამას წინათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს მიანიჭა პროფესორ ნ. ს. კახიანის სახელი.


მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე. შუა ევროპის დროით სასულო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი. მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე—50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართი

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25